

როგორ იბეგრება ფიზიკური პირის მიერ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე ბაცემული პროცენტები

შემოსულ კითხვებზე კომენტარს იძლევა ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი სამენარმეო საკითხებში იური პაპასაძე.

კითხვა: საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, „რეზიდენტის მიერ გადახდილი პროცენტები იბეგრება გადახდის წყაროსთან 10%-იანი განაკვეთით, თუ შემოსავლის წყარო საქართველოშია“, ე.ი. საგადასახადო აგენტის მოვალეობა ეკისრება სესხის ამღებს – პროცენტის გადამხდელს (საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით „საგადასახადო აგენტი არის იურიდიული პირი, საწარმო-ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი“ და თუ ისინი გასცემენ სესხის პროცენტებს, ევალებათ კიდევ მისი დაბეგვრა). გაუგებარია, როგორ რეგულირდება რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის დაბეგვრა (196-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად აწესებს პროცენტის დაბეგვრას გადახდის წყაროსთან, ხოლო 218-ე მუხლი კი პროცენტის გადამხდელ რეზიდენტ ფიზიკურ პირს არ აკისრებს აგენტის მოვალეობას)?

კომენტარი: შეკითხვის ავტორს შეიძლება დავეთანხმოთ, რომ აქ მართლაც არის ერთგვარი გაურკვეველობა და დასმულ საკითხთან დაკავშირებით საგადასახადო კოდექსი არ იძლევა პირდაპირ პასუხს. ამასთან, წარმოდგენილი მსჯელობა შეიცავს უზუსტობებსაც და არ ითვალისწინებს დამონმებული მუხლების ბოლო რედაქციას.

დასაბუთებული მსჯელობისთვის, მოდით ვნახოთ, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, ვინაა ფიზიკური პირი, ვის ეკისრება გადახდის წყაროსთან საგადასახადის დაკავება, რა განაკვეთითა დადგენილი და რაც მთავარია, არის თუ არა დაბეგვრის ობიექტი?

საგადასახადო კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად (ეს რედაქცია

მიღებულია 15.07.2008 წ. და ძალაშია 05.08. 2008 წლიდან):

1. მენარმე ფიზიკურ პირად ითვლება:

ა) ინდივიდუალური საწარმო - ფიზიკური პირი, თუ ის «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მენარმე;

ბ) ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე არ არის ამ ფიზიკური პირის დაბეგვრის მიზნით მისი მენარმე ფიზიკურ პირად არცნობის საფუძველი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მუხლში 2008 წლის 15 ივლისს შევიდა არსებითი ცვლილება, კერძოდ, ამიერიდან მენარმედ ითვლება „ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას“ (სხვათა შორის, საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილი «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირებს უკვე ავალდებულებს, ეკონომიკური საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის ვადაში საგადასახადო აღრიცხვის შესახებ განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით), ეს ერთი და მეორე, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მუხლის მე-2 პუნქტი, რაც პირდაპირ აღნიშნავს იმას, რომ მოქალაქე, ფიზიკური პირი (თუ ის ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს), იმისდა მიუხედავად, არის თუ არა გადამხდე-

ლად რეგისტრირებული, აქვს თუ არა შესაბამისი ლიცენზია ან ნებართვა, დაბეგვრის მიზნებისთვის ითვლება მენარმე ფიზიკურ პირად. ამდენად, მასზეც ვრცელდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და პასუხისმგებლობა.

მამ ასე, მენარმედ ითვლება ფიზიკური პირი-ინდივიდუალური მენარმე და აგრეთვე, ყველა მოქალაქე, ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ (ანუ საგადასახადო დასაბეგრ) საქმიანობას.

ვფიქრობ, სადაო არ უნდა იყოს, რომ ფიზიკური პირის მიერ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის წარმოადგენს არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობით, ანუ ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს (იხ. სკ-ის 175-ე მუხლის პირველი პუნქტი), რომელიც ამ ფიზიკურმა პირმა რეზიდენტი ფიზიკური პირისგან მიიღო განუვლი ფინანსური მომსახურების შედეგად. სწორედ ფინანსურ მომსახურებას განეკუთვნება კრედიტების (სესხების) გაცემა (იხ. სკ-ის მე-19 მუხლის „ა“ პუნქტი. ძალაშია - 13.08.2007 წ.).

ამრიგად, ყველა მოქალაქე, ფიზიკური პირის მიერ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე გაცემული პროცენტის დაბეგვრის ობიექტია.

ახლა ვნახოთ ვის ეკისრება გადახდის წყაროსთან პროცენტის დაბეგვრა და რა წესით უნდა განხორციელდეს ეს პროცედურა? ამ საკითხზე პირდაპირ პასუხს იძლევა საგადასახადო კოდექსის 218-ე, 101-ე და 196 მუხლები, რომელთა მიხედვითაც:

1. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

ა) პირი (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი), რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხ-

ლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს;

ბ) პირი, რომელიც პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიებისა, რომლებიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;

გ) პირი, რომელიც იხდის ამ კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ გადასახდელებს;

დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მემარმე ფიზიკური პირი, რომელიც განეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის მოწმობა;

ე) პირი, რომელიც დაკავებულია სათამაშო ბიზნესით და ფიზიკურ პირს უხდის მოგებებს;

ვ) პირი, რომელიც პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა.

ზ) საქართველოს საწარმო, რომელიც პირს უხდის დივიდენდს;

თ) პირი, რომელიც პირს უხდის პროცენტს;

ი) «ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული საბროკერო კომპანია, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული პირის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შემთხვევაში, ასეთი რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის გაცემისას. (ეს ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან).

2. პასუხისმგებლობა გადასახადების დაკავებისა და მათი ბიუჯეტში გადარიცხვისათვის ეკისრება შემოსავლის გადამხდელ პირს. გადასახადის თანხის დაუკავებლობის შემთხვევაში შემოსავლის გადამხდელი პირი ვალდებულია ბიუჯეტში შეიტანოს დაუკავებელი გადასახადის თანხა ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურების შესაბამისად და მასთან დაკავშირებული სანქციები. შემოსავლის გადამხდელის სახელით გადასახადისა და სანქციების თანხა შეიძლება გადაიხადოს შემოსავლის მიმღებმა.

3. პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ახდენს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას, ვალდებულია:

ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის

არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში - შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ბ) ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნისამებრ მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და სახეობის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით;

გ) საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს, აგრეთვე ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შემოსავლის მიმღებ პირს, მისი მოთხოვნისამებრ, გაუგზავნოს ცნობა ამ პირის სარეგისტრაციო ნომრის, მისი დასახელების ან გვარისა და სახელის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, საანგარიშო წლისათვის შემოსავლის საერთო თანხისა და დაკავებული გადასახადის საერთო თანხის მითითებით.

4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგადასახადო აგენტი ვალდებულია ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, ამავე ნაწილის მიხედვით განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით დეკლარაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმითა და წესით.

5. საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ მუშაობის შემთხვევაში - საგადასახადო აგენტის საგადასახადო აღრიცხვის მიხედვით (ეს რედაქცია ძალაშია 09.04.2008 წ.).

ფიზიკური პირის - საქართველოს მოქალაქის საიდენტიფიკაციო ნომერია ამავე პირის მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი. ფიზიკური პირი - საქართველოს მოქალაქე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და «მენარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური პირისა) უფლებამოსილია, საგადასახადო ორგანოში საგადასახადო აღრიცხვის პროცედურების გარეშეც მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო ნომერი) მიუთითოს წარმომადგენელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების დეკლარირებისას და საბანკო დანესებულებებში გადასახადის გადახდისას. ამ ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის ან/და ბანკში წარდგენილი გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე (იხ. 101-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ძალაშია 05.08.2008 წ.).

ამასთან, გასათვალისწინებელია სკ-ის 196-ე მუხლის მე-3 პუნქტი: ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება (ძალაშია 05.08.2008 წ.).

სკ-ის 167-ე მუხლი: ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 15%-ით. ამ მუხლის წინამორბედი რედაქციის მიხედვით, ფიზიკური პირის შემოსავალი 25%-იანი განაკვეთით იბეგვებოდა. ნორმის ახალი რედაქციის მიხედვით კი ის 15%-მდე შემცირდა. სსკ-ის 281-ე მუხლში (გარდამავალი დებულებები) შეტანილია 35-ე პუნქტიც, რომლის თანახმადაც ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 25%-იანი განაკვეთიდან 15%-იანი განაკვეთზე გადასვლა მოხდება ეტაპობრივად და იგი 2008 წლის განმავლობაში კვლავ - 25%-ი იქნება, ხოლო 2009 წელს შემცირდება 24%-მდე, 2010 წელს - 22%-მდე, 2011 წელს - 20%-მდე, 2012 წელს - 18%-მდე და მხოლოდ 2013 წლის 1 იანვრიდან გახდება 15 %-ი.